2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მონიტორინგის შედეგები

გურიის სამოქალაქო ცენტრი
ოზურგეთი
2021

შინაარსი

შესავალი 2

1. მონიტორინგის მეთოდოლოგია 3

2. მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებათა კვლევის შედეგები 3

2.1. საჭიროებათა კვლევის ძირითადი მიგნებები 4

2.2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017-2021 წლების ბიუჯეტის ანალიზი 6

3. არჩევნებში მონაწილე მერობის კანდიდატების და პარტიების წინასაარჩევნო დაპირებების ანალიზი 7

3.2. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მერობის კანდიდატი - ირაკლი ღლონტი 7

3.1. გახარია-საქართველოსთვის, მერობის კანდიდატი - გია ცეცხლაძე 8

3.3. ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს მერობის კანდიდატი - ავთანდილ თალაკვაძე 11

3.5. მერობის დამოუკიდებელი კანდიდატი - გოჩა ძიმისტარაშვილი 18

3.4. მერობის დამოუკიდებელი კანდიდატი - კონსტანტინე შარაშენიძე 19

3.7. საკრებულოს არჩევნებში მონაწილე პარტია - მესამე ძალა - სტრატეგია აღმაშენებელი - კანდიდატი ვლადიმერ ვადაჭკორია 21

3.6. საკრებულოს არჩევნებში მონაწილე პარტია - ევროპული საქართველო 23

3.7. საკრებულოს არჩევნებში მონაწილე პარტია - გირჩი მეტი თავისუფლება - 25

კანდიდატი ზურა ქუტიძე 25

3.8. საკრებულოს არჩევნებში მონაწილე პარტია ანა დოლიძე - ხალხისთვის 26

კანდიდატი ვანო გოგოლაშვილი 26

3.9. საკრებულოს არჩევნებში მონაწილე პარტია - ლელო - კანდიდატი ტოგო ჭელიძე 27

4. მუნიციპალურ ორგანოთა არჩევნების მეორე ტურის მონიტორინგი 29

4.1. გიორგი ჩაგანავა - ,,ქართული ოცნება'' 29

4.2. რაინდი დუმბაძე - ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა'' 30

5. დასკვნა 32

დანართი 33

შესავალი

2021 წლის 2 ოქტომბერს, საქართველოში და მათ შორის ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები გაიმართა. კანონის თანახმად წინასაარჩევნო პერიოდი იწყება არჩევნებამდე ორი თვით ადრე. თუმცა საარჩევნო პროცესი არ დასრულდა პირველ ტურში და 30 ოქტომბერს გაიმართა არჩევნების მეორე ტური. შესაბამისად 1 აგვისტოდან 30 ოქტომბრამდე, პროექტის ფარგლებში მიმდინარეობდა წინასაარჩევნო პროცესის მონიტორინგი, რომლის მიზანი იყო პროექტის ფარგლებში ინტერესთა ჯგუფების იდენტიფიცირებული გამოწვევების წინასაარჩევნო დაპირებებში ასახვის შეფასება. მონიტორინგის ანგარიშში წარმოდგენილია ყველა იმ ძირითადი კანდიდატებისა და პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო კამპანიის მონიტორინგის შედეგები, რომელთა კანდიდატები მონაწილეობდნენ მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერის არჩევნებში.

აღნიშნული ანგარიში მომზადდა ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მხარდაჭერით, პროექტ „ინფორმირებული არჩევანი - Informed Choice“ -ის ფარგლებში, რომელიც განახორციელა ,,გურიის სამოქალაქო ცენტრმა“ და „ქალები რეგიონის განვითარებისთვის“. პროექტი გულისხმობს საგნობრივი, ინტერესთა ჯგუფების კონკრეტულ საჭიროებებზე დაფუძნებული პოლიტიკური დისკუსიის ხელშეწყობას საარჩევნო სუბიექტებს შორის.

1. მონიტორინგის მეთოდოლოგია

მონიტორინგის ფარგლებში შეფასება ძირითადად დაეყრდნო:

- წინასაარჩევნო პერიოდში კანდიდატების საარჩევნო კამპანიას, მათ შეხვედრებს მოსახლეობასთან;
- დებატებს ადგილობრივ ტელეეთერებში;
- საჯარო ინფორმაციას, რომელიც ვრცელდებოდა ვებ.გვერდებსა და მათ პირად გვერდებზე სოციალურ ქსელში;
- ვიდეო ინტერვიუებს, რომელიც კანდიდატებთან ჩაიწერა პროექტის ფარგლებში;
- საჭიროებათა კვლევის შედეგად გამოკვეთილ პრობლემურ საკითხებზე კანდიდატების წერილობითი პასუხებს.

2. მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებათა კვლევის შედეგები

პროექტის ფარგლებში არსებობდა სამი მოწყვლადი ჯგუფი:

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები აჭარული თემი (ნასაკირალი, ლაითური, ნარუჯა)
- ოზურგეთში მცხოვრები ახალგაზრდები
- ოზურგეთში მცხოვრები ურბანული მოსახლეობა

აღნიშნული ჯგუფების საჭიროებების სრულყოფილად შესწავლის მიზნით, პროექტის გუნდმა გაანალიზა 2017-2021 წლის ბიუჯეტი, დანერგა საინფორმაციო-საკონსულტაციო სერვისი, მიმართა ადგილობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, დაესახელებინათ მათთვის პრიორიტეტული საკითხები და ჩაატარა სამაგიდო მოკვლევა.

სამაგიდო მოკვლევისას გამოყენებული იყო შემდეგი კვლევები:

- ახალგაზრდობის სააგენტოს კვლევა - „ახალგაზრდობის საჭიროებების, გამოწვევების, ინტერესებისა და რესურსების კვლევა" (2020 წელი), რომელიც ეხება ახალგაზრდების მხრიდან საჯარო და კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობასა და ახალგაზრდულ სერვისებს,
- „საზოგადოებრივი მომსახურებით საქართველოს მოსახლეობის კმაყოფილების კვლევა" (2017 წელი), რომელშიც შეჯამებულია საქართველოს მოქალაქეთა დამოკიდებულება ადგილობრივი მუნიციპალიტეტებისა და ცენტრალური ხელისუფლების მიერ განხორციელებული საზოგადოებრივი მომსახურების მიმართ.
- გურიის სამოქალაქო ცენტრის მიერ 2020 წელს ჩატარებული კვლევა მოსახლეობის საჭიროებების შესახებ.

კვლევის პირველი ფაზის შედეგად გამოკვეთილი მთავარი მიმართულებების ირგვლივ შემუშავდა ფოკუს-ჯგუფის დისკუსიის გზამკვლევი და Zoom-ის ფორმატში ჩატარდა ფოკუს-ჯგუფები უშუალოდ სამიზნე ჯგუფებთან. კვლევის დახმარებით, გამოიკვეთა როგორც საერთო გამოწვევები, რაც სამივე ჯგუფის წარმომადგენელს თანაბრად აწუხებს, ასევე, ცალკეული ჯგუფებისთვის სპეციფიკური საჭიროებები. აღნიშნული გამოწვევები საჭიროებს პოლიტიკური აქტორების მხრიდან სათანადო ხედვების შემუშავებას და მის თანმიმდევრულ განხორციელებას საზოგადოების აქტიური ჩართულობით.

2.1. საჭიროებათა კვლევის ძირითადი მიგნებები

ურბანული მოსახლეობის წარმომადგენლები ამბობენ, რომ რაც გაკეთდა, უმეტესად, ცალკეული ინდივიდების ინიციატივების შედეგია. დადებით ცვლილებად ასახელებენ ერთ-ერთი ცენტრალური პარკის (ე.წ. სამკუთხა, სახელმწიფო თეატრის გვერდით) რეაბილიტაციას, მცირე ინფრასტრუქტურულ პროექტებს თუმცა პრობლემად რჩება ქალაქის წყლით მომარაგების საკითხი – ოზურგეთს წყალი გრაფიკით მიეწოდება.

მოუწესრიგებელია საგზაო მოძრაობა, არ *არსებობს* საზოგადოებრივი ტუალეტები, საჯარო სივრცეები ეტლით მოსარგებლეებისთვის ადაპტირებული არ არის. ერთ-ერთი რესპონდენტი ამბობს, რომ არჩევნებამდე ტროტუარებს აკეთებდნენ, თუმცა მერე მიატოვეს.

აჭარული თემის წარმომადგენლები ამბობენ, რომ ძირითადად, უკეთესობისკენ შეიცვალა ყველაფერი: გზა, წყალი, ინტერნეტი, საბავშვო ბაღი, ნაგავსაყრელი მოწესრიგდა. თუმცა, ამასთან, აღნიშნავენ, რომ, მაინც ბევრი რამე დარჩა მოუწესრიგებელი, მაგალითად, შიდა გზები, სადაც წყალი და ტალახი დგება, არაა მოწესრიგებული გარე განათებები. ორი რესპონდენტი ამბობს, რომ ცენტრალური გზაც იმიტომ გააკეთეს, ხეები გაჰქონდათ და გზა საჭირო გახდა ამ ხეების გასატანად.

სამივე დასახლების მცხოვრებლები ხაზს უსვამენ შიდა შიდა გზების მოუწსრიგებელობით გამოწვეულ დისკომფორტს. ''ბევრჯერ იყვნენ მოსული და შეხვდნენ ხალხს. გაგვიკეთეს, რაც დაგვპირდნენ. ერთი ისაა, რომ შიდა გზებს დაგვპირდნენ და ვერ გაგვიკეთეს.'' - შუახნის კაცი, ლაითური

უშუალოდ მათ ქალაქში/სოფელში/უბანში არსებულ პრობლემებზე საუბრისას, მწვავედ იკვეთება შემდეგი საერთო პრობლემები:

- წყალმომარაგებაზე ხელმისაწვდომობა - ''*მერი იყო ჩამოსული ჩვენთან, გზაზე და წყალზე, ტენდერი უნდა გამოცხადდესო, სამუშაოები უნდა დასრულებულიყო უკვე, მარა არაფერი ვიცით, თანხაც იყო გამოყოფილი, არც ვიცით, ეს ფული სადაა.''* - საშუალო ასაკის ქალი, ნარუჯა. პრობლემად აღინიშნა, ასევე ქალაქში წყლის გრაფიკით მიწოდებისა და წყალარინების სისტემსი საკითხიც.
- საზოგადოებრივ ტრანსპორტის გაუმართაობა, ხოლო ურბანული მოსახლეობის შემთხვევაში - ქალაქის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი ტრანსპორტის საერთოდ არარსებობაზე საუბრობენ.

ფოკუს ჯგუფზე დასახელებულ პრობლემებთან თანხვედრაში მოდის ასევე „საზოგადოებრივი მომსახურებით საქართველოს მოსახლეობის კმაყოფილების კვლევასთან", რომლის მიხედვით ცენტრალურ საკანალიზაციო სისტემასთან ხელმისაწვდომობა გურიაში მხოლოდ 14%-ს აქვს.

სარეკრეაციო სივრცეების, სკვერების, სპორტული მოედნების, ახალგაზრდული სივრცეების არარსებობაზე საუბრობენ ახალგაზრდები. მათი თქმით, ახალგაზრდებისთვის არ არსებობს ადგილები სოციალიზაციისა და კულტურული ინეტარქციისათვის.

> *„ახალგაზრდული სივრცეები ოზურგეთში, ფაქტობრივად, არ არსებობს. კულტურული ინტერაქცია არ შეგვიძლია.'' - ახალგაზრდა ქალი, ქალაქის მაცხოვრებელი „სოფელში წრეები არ გვაქვს ახალგაზრდებისთვის – ჭადრაკის, ცეკვის და ა.შ. სახელოვნებო სკოლები. მშობლებს არ აქვთ საშუალება, რომ ქალაქში ატარონ ბავშვები.'' - ახალგაზრდა ქალი, ლაითური*

ასევე, მნიშვნელოვან პრობლემებად დასახელდა:

- ადგილზე სამუშაო ადგილების არარსებობა;
- ახალგაზრდების ზრდად მიგრაცია.

რამდენიმე რესპონდენტმა პრობლემად დაასახელა ქალაქის საზღვრების საკითხი და ის, რომ ოზურგეთს არ აქვს გენერალური გეგმა. ძალიან მწვავედ დგას მიუსაფარი ძაღლების საკითხიც.

სამივე სამიზნე ჯგუფებისთვის შვიდი პრიორიტეტული პრობლემატური საკითხია:

1. მუნიციპალური ტრანსპორტი: მუნიციპალური ტრანსპორტის არარსებობა ქალაქში დაბალი ხელმისაწვდომობა სოფლებსა და დაბებში
2. ხელმიუწვდომელი წყალმომარაგება, სასმელი წყლის ხარისხი
3. კანალიზაციის ქსელის არარსებობა, განსაკუთრებით ქალაქის ტერიტორიაზე
4. სპორტული, გასართობი, სარეკრეაციო, კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეების არარსებობა, დაბალი ხელმისაწვდომობა
5. მოუწესრიგებელი საგზაო მოძრაობა (ტროტუარები, გადასასვლელები, შუქნიშნები, პარკინგი) და შიდა გზები
6. ქალაქის გენერალური გეგმის არარსებობა
7. უპატრონო ძაღლების სიმრავლე

2.2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017-2021 წლების ბიუჯეტის ანალიზი

2018-2021 წლების ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ანალიზი აჩვენებს რომ ყოველწლიურად მუნიციპალური ბიუჯეტის ხარჯების დაახლოებით ნახევარი ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე იხარჯება. ამასთან, ყოველწლიურად მზარდია ინფრასტრუქტურაზე გაწეული დანახარჯების წილი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში. 2020 წელს ინფრასტრუქტურაზე გაწეულმა ხარჯებმა ბიუჯეტის 53%-ზე მეტი შეადგინა. ყველა სხვა საბიუჯეტო მიმართულებაზე გაწეული ხარჯები (განათლება; ეკოლოგია და გარემოს დაცვა; კულტურა, ახალგაზრდობა სპორტი და სხვა) მნიშვნელოვნად, რამდენჯერმე ჩამორჩება ინფრასტრუქტურის მიმართულებით გაწეულ დანახარჯებს. მიუხედავად ამისა, მოსახლეობის დამოკიდებულება ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიმართ არაერთგვაროვანია და ის განსხვავდება დასახლების ტიპის მიხედვით.



3. არჩევნებში მონაწილე მერობის კანდიდატების და პარტიების წინასაარჩევნო დაპირებების ანალიზი

წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას კანდიდატები საუბრობდნენ, იმ 7 გამოწვევის შესახებ რომელიც გამოვლინდა ინტერესთა ჯგუფების საჭიროებათა კვლევისას.

3.2. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მერობის კანდიდატი - ირაკლი ღლონტი

კანდიდატი ძირითადად ყურადღებას ამახვილებს სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობასა და მოუწესრიგებელ შიდა გზებზე. თუმცა არსად წერია კონკრეტული გეგმა, როგორ აპირებს ამ პრობლემების მოგვარებას.

კანდიდატი შეხვდა გურიანთის მოსახლეობას და ერთ-ერთ პრობლემად დასახელებულია სასმელი წყალი და მოუწესრიგებელი შიდა გზები.

ეხმიანება ჩვენ მიერ გამოკვეთილ პრობლემას - წყალმომარაგება და სასმელი წყალი, მოუწესრიგებელი შიდა გზები.

კანდიდატმა შეხვედრა მოაწყო დაბა ნარუჯაში. პოსტში ნათქვამია, რომ მოსახლეობის ერთ-ერთი პრობლემა მოუწესრიგებელი შიდა გზებია. კანდიდატი ამბობს, რომ „ამ პრობლემების მოგვარება სირთულეს არ წარმოადგენს და დაუყოვნებლივ მოითხოვს გადაჭრას!"

ეხმიანება ჩვენ მიერ გამოკვეთილ პრობლემას - მოუწესრიგებელი შიდა გზები.

კანდიდატი იმყოფებოდა სოფელ ბაილეთში და საუბრობს იქ არსებულ პრობლემებზე, მათ შორის, სასმელ წყალსა და ამორტიზებულ გზებზე.

ეხმიანება ჩვენ მიერ გამოკვეთილ პრობლემას - წყალმომარაგება და სასმელი წყალი, მოუწესრიგებელი შიდა გზები.

კანდიდატი იმყოფებოდა ლაითურში, სადაც მოუწესრიგებელი გზა დახვდა და მოქალაქეებს ამ გზის რეაბილიტაციას დაჰპირდა.

ეხმიანება ჩვენ მიერ გამოკვეთილ პრობლემას - მოუწესრიგებელი შიდა გზები.

3.1. გახარია-საქართველოსთვის, მერობის კანდიდატი - გია ცეცხლაძე

კანდიდატის წინასაარჩევნო კამპანია და დაპირებები ეხმიანებოდა ჩვენი კვლევის შედეგად გამოკვეთილ შემდეგ მწვავე პრობლემებს:

- მუნიციპალიტეტში სპორტული აქტივობებისთვის სივრცეების შექმნა და მათი მოწესრიგება, სარეკრეაციო სივრცეების მოწყობა
- სასმელი წყალი
- შიდა გზები
- საკანალიზაციო სისტემა
- მუნიციპალური ტრანსპორტი

კანდიდატი შეხვდა სოფელ ძიმითის მოსახლეობას. სოფელში ძირითადად სასმელი წყლის, მოუწესრიგებელი შიდა გზებისა და ახალგაზრდებისთვის სპორტული მოედნის პრობლემა დგას. სადაც კანდიდატის განცხადებით ***„ჩემი გამარჯვების შემთხვევაში ნამდვილად გავაკეთებ ყველაფერს იმისათვის , რომ ოთხი წლის შემდეგ, ყველა სოფელსა თუ ქალაქის უბნებში სათქმელი ჰქონდეთ - ეს სიკეთეები გაკეთდა ცეცხლაძის მერობის დროს"***

ეხმიანება ჩვენ მიერ გამოკვეთილ პრობლემას - მუნიციპალიტეტში სპორტული აქტივობებისთვის სივრცეების შექმნა და მათი მოწესრიგება, სასმელი წყალი და შიდა გზები, კანალიზაცია, სასმელი წყალი, სკვერები.

კანდიდატი შეხვდა ივანე ჯავახიშვილის ქუჩის მოსახლეობას, სადაც მოუწესრიგებელი საკანალიზაციო სისტემის პრობლემა გამოიკვეთა. მოსახლეობა ასევე ითხოვს 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული სამხედროს, ზაურ თენიეშვილის სახელობის სკვერის მოწყობას. ცეცხლაძე ამბობს, რომ მის პროგრამაში გაწერილია, როგორ უნდა მოგვარდეს ეს პრობლემები.

ეხმიანება ჩვენ მიერ გამოკვეთილ პრობლემას - საკანალიზაციო სისტემა, სარეკრეაციო სივრცეების მოწყობა

გია ცეცხლაძე შეხვდა სოფელ ნაღობილევის მოსახლეობას. ადგილზე ყველაზე მწვავედ სასმელი წყლის პრობლემა დგას. ცეცხლაძემ მათ გააცნო პარტიის პროგრამა, რომელშიც საუბარია გზებზე, სასმელ წყალზე, კანალიზაციასა და მუნიციპალურ ტრანსპორტზე. ,,ჩემი გამარჯვების შემთხვევაში, სწრაფად დავიწყებ დაგროვილი პრობლემების მოგვარებაზე მუშაობას. ეს იქნება: შიდა გზების რეაბილიტაცია, სოფლებში სასმელი წყლის პრობლემა, გაზიფიკაცია, სანიაღვრე არხები, სახნავ-სავარგულებამდე მისასვლელი გზები თუ სოფლის მეურნეობის პროდუქციის, ციტრუსის, თხილის, ჩაის წარმოების ეფექტიანობის ზრდა."

ეხმიანება ჩვენ მიერ გამოკვეთილ პრობლემას - სასმელი წყალი, კანალიზაცია, მუნიციპალური ტრანსპორტი, შიდა გზები.

შეხვედრა ნატანებში, შეხვედრაზე მოქალაქეებმა მოუწესრიგებელი შიდა გზების, წყლის და დასაქმების პრობლემები გამოკვეთეს.‘’არ მინდა, 21-ე საუკუნეში ჩემი ქალაქის მოსახლეობას წყლის, გზისა და გაზის პრობლემა აწუხებდეს.’’ - ცეცხლაძე

ეხმიანება ჩვენ მიერ გამოკვეთილ პრობლემას - სასმელი წყალი, შიდა გზები.

ცეცხლაძე შეხვდა ჯორჯიაშვილის ქუჩის მოსახლეობას. გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები - მოუწესრიგებელი საკანალიზაციო სისტემა, ამორტიზებული შიდა გზები, მოშლილი ინფრასტრუქტურა, არ არსებული გარე განათება და მოუვლელი გარემო.

ეხმიანება ჩვენ მიერ გამოკვეთილ პრობლემას - კანალიზაცია, შიდა გზები

კანდიდატი შეხვდა ჩოხატაურის ქუჩის მოსახლეობას. ადგილობრივები საკანალიზაციო სისტემის მოწყობას, სასმელ წყალს და ბავშვებისთვის სკვერის მოწყობას ითხოვენ. კანდიდანტმა აღნიშნული ქუჩის მცხოვრებლებს პირობა მისცა, რომ მისი გამარჯვების შემთხვევაში, პრობლემების მოგვარებაზე ოპერატიულად დაიწყებს მუშაობას.

ეხმიანება ჩვენ მიერ გამოკვეთილ პრობლემას - კანალიზაცია, სასმელი წყალი, სკვერები

კანდიდატი შეხვდა გურიანთის მოსახლეობას. ადგილობრივები სოფელში თანამედროვე ტიპის საბავშვო ბაღის მშენებლობას, სპორტული მოედნის მოწყობას და სასმელი წყლის პრობლემის მოგვარებას ითხოვენ.

ეხმიანება ჩვენ მიერ გამოკვეთილ პრობლემას - სპორტული მოედნები, სასმელი წყალი

კანდიდატი შეხვდა გრიბოედოვის ქუჩის მოსახლეობას. გამოიკვეთა ინფრასტრუქტურული პრობლემებიც: კანალიზაციის მოშლილი სისტემა, სანაპირო ზოლის კეთილმოწყობის და სკვერის ბავშვებისათვის უსაფრთხოდ მოწყობის საჭიროება.

ეხმიანება ჩვენ მიერ გამოკვეთილ პრობლემას - კანალიზაცია, სკვერი და სარეკრეაციო ზონა

კანდიდატი შეხვედრა ამომრჩევლებს სოფელ მერიაში, სადაც აღინიშნა, რომ სასწრაფოდ მოსაწესრიგებელია კანალიზაციის პრობლემა. არ არსებობს ბავშვებისთვის გასართობი სივრცე. მერობის კანდიდატმა მათი პრობლემების გადაჭრისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების გზებზე ისაუბრა.

ეხმიანება ჩვენ მიერ გამოკვეთილ პრობლემას - კანალიზაცია, სკვერი და სპორტული მოედანი

3.3. ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს მერობის კანდიდატი - ავთანდილ თალაკვაძე

კანდიდატის წინასაარჩევნო კამპანია და დაპირებები ეხმიანებოდა ჩვენი კვლევის შედეგად გამოკვეთილ შემდეგ მწვავე პრობლემებს:

- მუნიციპალიტეტში სპორტული აქტივობებისთვის სივრცეების შექმნა და მათი მოწესრიგება, სარეკრეაციო სივრცეების მოწყობა
- სასმელი წყალი
- შიდა გზები
- საკანალიზაციო სისტემა
- მუნიციპალური ტრანსპორტი
- მიუსაფარი ძაღლების პრობლემა
- გაუმართავი საგზაო ინფრასტრუქტურა და შიდა გზები

მისი დაპირებები ეხებოდა თითქმის ყველა პრობლემას, რაც ჩვენი კვლევის შედეგად გამოიკვეთა. მეორე ტურში აგრძელებდა შეხვედრებს მოსახლეობასთან და საუბარს 8 პუნქტიან გეგმაზე.

შეხვედრა სოფელ ბახვში, დაპირება - სოფელ ბახვს ახალი საფეხბურთო სტადიონი ექნება.

ეხმიანება ჩვენ მიერ გამოკვეთილ პრობლემას - სპორტული, გასართობი, სარეკრეაციო, კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეები.

კანდიდატმა საზოგადოებრივი ტრანსპორტის მძღოლებს წარუდგინა გეგმა სატრანსპორტო სისტემის განვითარებისა და ავტოპარკის განახლების შესახებ.

ეხმიანება ჩვენ მიერ გამოკვეთილ პრობლემას - გაუმართავი საზოგადოებრივი ტრანსპორტი, მოძრაობის განრიგი და მარშრუტების რაოდენობა ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნებს.

კანდიდატი, სოციალურ ქსელში აქვეყნებს შემდეგ დაპირებებს:

- თანამედროვე სატრანსპორტო სისტემა და ახალი ავტობუსები ოზურგეთისთვის
- სკვერების და რეკრეაციული სივრცეების მოწყობა
- საბინაო საკითხების მოგვარება
- მიუსაფარი ძაღლების მრავალწლიანი პრობლემის გადაწყვეტა
- საკანალიზაციო სისტემების მოწესრიგება

ეხმიანება ჩვენ მიერ გამოკვეთილ პრობლემას - სპორტული, გასართობი, სარეკრეაციო, კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეები, გაუმართავი საზოგადოებრივი ტრანსპორტი, მოუწესრიგებელი საკანალიზაციო სისტემა, მიუსაფარი ძაღლები.

კანდიდატის შეხვედრა ახალგაზრდებთან. დაპირებები:

- ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობა სტარტაპ პროექტების დაფინანსებით
- პროფესიული განათლების მხარდაჭერა
- გასართობი ინფრასტრუქტურის მოწყობა და ღონისძიებები
- სპორტული პროექტები და მეტი ჩართულობა სპორტში

ეხმიანება ჩვენ მიერ გამოკვეთილ პრობლემას - სპორტული, გასართობი, სარეკრეაციო, კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეები.

კანდიდატი აქვეყნებს ვიდეოს მიუსაფარი ძაღლების პრობლემასთან დაკავშირებით და მოუწოდებს მოსახლეობას, შემოუერთდნენ კამპანიას.

ეხმიანება ჩვენ მიერ გამოკვეთილ პრობლემას - მიუსაფარი ძაღლები

კანდიდატი შეხვდა ურეკის მოსახლეობას და წარუდგინა საარჩევნო პროგრამა. დაპირებები:

- სოციალური და ეკონომიკური ინფრასტრუქტურის განახლებას;
- წყლით მომარაგების პრობლემების მოგვარებას და სადრენაჟო სისტემის მოწესრიგებას;
- თანამედროვე სატრანსპორტო სისტემის გამართვას და ახალი ავტობუსების შემოყვანას;
- ურეკში ახალი სკოლის მშენებლობას;
- სამეწარმეო, სოფლის მეურნეობის და ტურისტული პროექტების მხარდაჭერას - ახალი სამუშაო ადგილების შექმნას;

ეხმიანება ჩვენ მიერ გამოკვეთილ პრობლემას - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბებსა და სოფლებში საზოგადოებრივი ტრანსპორტი გაუმართავია, მოძრაობის განრიგი და მარშრუტების რაოდენობა ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნებს. წყალმომარაგება.

კანდიდატის მიერ გამოქვეყნდა დაპირება - ოზურგეთს ექნება თანამედროვე ავტობუსები და სატრანსპორტო სისტემა ექნება განახლებული მოსაცდელებით.

ეხმიანება ჩვენ მიერ გამოკვეთილ პრობლემას - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბებსა და სოფლებში საზოგადოებრივი ტრანსპორტი გაუმართავია, მოძრაობის განრიგი და მარშრუტების რაოდენობა ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნებს.

კანდიდატმა ოზურგეთის მაცხოვრებლებს გააცნო საარჩევნო პროგრამა - 8 პუნქტიანი გეგმა. ისაუბრა დასაქმებისა და ახალი სამუშაო ადგილების ხელშეწყობაზე, საბინაო პრობლემების მოგვარებაზე, რეკრეაციული სივრცეების მოწყობაზე და თანამედროვე ტრანსპორტზე.

ეხმიანება ჩვენ მიერ გამოკვეთილ პრობლემას - სარეკრეაციო სივრცეების მოწყობა, მუნიციპალური ტრანსპორტი.

კანდიდატს ჰქონდა შეხვედრები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში. დაპირებები:

- წყლით მომარაგების პრობლემების მოგვარება;
- სოციალური ინფრასტრუქტურის განახლება - გზების მოწესრიგება;
- სოფლის მეურნეობის სფეროში ახალი პროექტების ხელშეწყობა;
- ისტორიული ადგილების რეაბილიტაცია და საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა.

ეხმიანება ჩვენ მიერ გამოკვეთილ პრობლემებს - წყალმომარაგება და მოუწესრიგებელი გზები.

კანდიდატს ჰქონდა შეხვედრა ოზურგეთში შშმ პირებთან, სადაც წარადგინა საარჩევნო პროგრამის სოციალური პრიორიტეტები და სამომავლო გეგმები წარადგინა:

- გარემოს და ინფრასტრუქტურის ეტაპობრივი ადაპტირება;
- მხარდამჭერი სერვისების განვითარება;
- აუტიზმის ცენტრის გახსნა ოზურგეთში;
- რეაბილიტაციისა და აბილიტაციის სერვისების მხარდაჭერა;
- დასაქმების შესაძლებლობების ხელშეწყობა.

ეხმიანება ჩვენ მიერ გამოკვეთილ პრობლემას - საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება.

ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნდა კანდიდატის მხარდამჭერი ვიდეო, რომელშიც ორი ფეხბურთელი გოგონა საუბრობს, ოზურგეთში მცხოვრები ახალგაზრდების პრობლემაზე, რომელთაც არ აქვთ სპორტული მოედნები. ისინი ასევე აღნიშნავენ, რომ თალაკვაძის პრიორიტეტი არის ახალგაზრდების პრობლემების მოგვარება და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია.

ეხმიანება ჩვენ მიერ გამოკვეთილ პრობლემას - მუნიციპალიტეტში სპორტული აქტივობებისთვის სივრცეების შექმნა და მათი მოწესრიგება.

კანდიდატი აქვეყნებს დაპირებას იმის თაობაზე, რომ ოზურგეთს ექნება თანამედროვე ავტობუსები და სატრანსპორტო სისტემა განახლებული მოსაცდელებით.

ეხმიანება ჩვენ მიერ გამოკვეთილ პრობლემას - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბებსა და სოფლებში საზოგადოებრივი ტრანსპორტი გაუმართავია, მოძრაობის განრიგი და მარშრუტების რაოდენობა ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნებს. საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება.

კანდიდატი აქვეყნებს სოფლის მოსახლეობასთან შეხვედრის შესახებ პოსტს და ამბობს, რომ წარადგინა მისი საარჩევნო პროგრამა და 8 პუნქტიანი გეგმა ოზურგეთისთვის, რომელიც მორგებულია მუნიციპალიტეტის საჭიროებებზე. კონკრეტულად აღნიშნულია:

- წყლით მომარაგების პრობლემების მოგვარება;
- სოციალური ინფრასტრუქტურის განახლება - გზების მოწესრიგება;
- სოფლის მეურნეობის სფეროში ახალი პროექტების ხელშეწყობა;
- ისტორიული ადგილების რეაბილიტაცია და საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა.

ეხმიანება ჩვენ მიერ გამოკვეთილ პრობლემას - წყალმომარაგება და სასმელი წყალი, მოუწესრიგებელი გზები, კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეების მოწყობა.

კანდიდატი აქვეყნებს პოსტს -„ჩვენს თანამოქალაქეებს ოზურგეთში გავაცანი საარჩევნო პროგრამა - 8 პუნქტიანი გეგმა, რომელიც დღეს არსებულ საჭიროებებს საქმით

უპასუხებს. დასაქმების და ახალი სამუშაო ადგილების ხელშეწყობა, საბინაო პრობლემების მოგვარება, რეკრეაციული სივრცეების მოწყობა და თანამედროვე ტრანსპორტი - სხვა ამოცანებთან ერთად, ეს იქნება ჩვენი პრიორიტეტები ქალაქში."

ეხმიანება ჩვენ მიერ გამოკვეთილ პრობლემას - სარეკრეაციო სივრცეების მოწყობა, მუნიციპალური ტრანსპორტი.

კანდიდატი აქვეყნებს პოსტს, სადაც კიდევ ერთხელ საუბრობს მისთვის პრიორიტეტულ საკითხებზე და გეგმებზე ამ შემდეგი მიმართულებით:

- თანამედროვე ტრანსპორტი ოზურგეთს
- ღირსეული საცხოვრისით უზრუნველყოფა და საბინაო პრობლემების ეტაპობრივი გადაწყვეტა
- წყლით მომარაგების პრობლემების მოგვარება
- ქალაქსა და სოფლებში ისტორიული ადგილების რეაბილიტაცია და სკვერების მოწყობა

ეხმიანება ჩვენ მიერ გამოკვეთილ პრობლემას - წყალმომარაგება და სასმელი წყალი, სარეკრეაციო სივრცეების მოწყობა, მუნიციპალური ტრანსპორტი.

კანდიდატი აქვეყნებს პოსტს, სადაც საუბრობს მისთვის პრიორიტეტულ საკითხებზე - სოფლებში საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა; აგროპროექტების ხელშეწყობა; წყლით მომარაგების პრობლემების მოგვარება; კონკრეტულ უბნებში ინფრასტრუქტურული განახლება; ახალგაზრდების მეტად ჩართვა სპორტულ, საგანმანათლებლო და მეწარმეობის ინიციატივებში.

ეხმიანება ჩვენ მიერ გამოკვეთილ პრობლემას - სპორტული, გასართობი, სარეკრეაციო, კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეები, წყალმომარაგება და სასმელი წყალი.

კანდიდატი აქვეყნებს პოსტს - განვაგრძობ ყოველდღიურ შეხვედრებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში ჩვენს თანამოქალაქეებთან და მხარდამჭერებთან.

- სოფლად წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია და მცირე მეურნეობების ოპტიმიზაცია
- წყლით მომარაგების პრობლემები, რომელიც მერიის მიერ ამ დრომდე გადაუჭრელია

- მოუწესრიგებელი სოციალური ინფრასტრუქტურა

ეს ის საკითხებია, რაც დღეს თანამოქალაქეებისგან მოვისმინე და მათ მოგვარებაზე ჩვენი გეგმები გავაცანი.

ეხმიანება ჩვენ მიერ გამოკვეთილ პრობლემას - წყალმომარაგება და სასმელი წყალი, მოუწესრიგებელ სოციალურ ინფრასტრუქტურაში რას გულისხმობს, არაა დაკონკრეტებული.

კანდიდატი აქვეყნებს პოსტს საკითხების ჩამონათვალით, რომელთა მოსაგვარებლადაც, როგორც წერს, აქვს კონკრეტული გეგმა და არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, დაიწყებს ამ პრობლემების მოგვარებას:

- წყლით მომარაგების პრობლემები, რომელიც მერიის მიერ ამ დრომდე გადაუჭრელია
- საზოგადოებრივი ტრანსპორტის პრობლემა
- საბინაო პრობლემები, სადაც მუნიციპალური დახმარებები არაეფექტიანად არის მიმართული
- მოუწესრიგებელი სოციალური ინფრასტრუქტურა
- მიგრაციის კუთხით მუნიციპალიტეტში თანმიმდევრული პოლიტიკის არარსებობა

ეხმიანება ჩვენ მიერ გამოკვეთილ პრობლემას - მუნიციპალური ტრანსპორტი, წყალმომარაგება და სასმელი წყალი.

აქვეყნებს პოსტს, სადაც საუბრობს სპორტისა და ახალგაზრდობის შესახებ. ხაზს უსვამს, რომ აპირებს სპორტული მოედნების რეაბილიტაციას და მოეწყობა ახალი სარეკრეაციო სივრცეები.

ეხმიანება ჩვენ მიერ გამოკვეთილ პრობლემას - სპორტული, გასართობი, სარეკრეაციო, კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეები.

კანდიდატის მიერ ქვეყნდება მისი მხარდასაჭერი ვიდეო, რომელშიც საუბარია ახალგაზრდების პრობლემებზე და იმაზე, რომ თალაკვაძე მოაგვარებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების პრობლემას, რომელთაც აქვთ სპორტული, გასართობი, კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეები.

ეხმიანება ჩვენ მიერ გამოკვეთილ პრობლემას - სპორტული, გასართობი, სარეკრეაციო, კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეები.

3.5. მერობის დამოუკიდებელი კანდიდატი - გოჩა ძიმისტარაშვილი

წყალმომარაგება – ,,ჩემთვის მთავარი პრიორიტეტი წყლის პრობლემის მოგვარებაა, რომელიც მოგვარდება ჩემი არჩევიდან 2 წლის ვადაში. ყველას ექნება ხარისხიანი სასმელი წყალი. ბიუჯეტის დიდი ნაწილი დაიხარჯება ამ პრობლემის მოგვარებაზე.''

კანალიზაცია - ,,კანალიზაციის პრობლემის მოგვარება ნამდვილად რთულია და უზარმაზარ თანხებს საჭიროებს, თუმცა ქალაქში ნაწილობრივ ამ პრობლემის მოგვარება შესაძლებელია.''

საზოგადოებრივი ტრანსპორტი - ,,საკვანძო ქუჩებში ამოქმედდება სამარშუტო კერძო ხაზები, თუმცა კერძო მეწარმე მძღოლების წახალისების მიზნით, მცირედი თანხით მოხდება მათი დაფინანსება, მაგ. გადაეცემა ავტომობილის ზეთი, რა თქმა უნდა მოეწყობა მოსაცდელები, რომლებიც იქნება მცირე ზომების, დაბალბიუჯეტიანი, მაგრამ ხარისხიანი. დიდი ყურადღება დაეთმობა საგზაო ნიშნებს.''

გენერალური გეგმა - ,,გეგმა შეიქმნება დაახლოებით 6 თვეში.''

დაპირებები ეხმიანება ჩვენ მიერ გამოკვეთილ საჭიროებებს – გენ.გეგმა, საგზაო ინფრასტრუქტურა, წყალმომარაგება და კანალიზაცია, მიუსაფარი ძაღლები, საზოგადოებრივი ტრანსპორტი.

3.4. მერობის დამოუკიდებელი კანდიდატი - კონსტანტინე შარაშენიძე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერობის დამოუკიდებელი კანდიდატი, არჩევნების პირველსა და მეორე ტურში საუბრობდა არაჯანსაღ საარჩევნო გარემოზე. ასევე აქტიურად საუბრობდა კონკურენტი კანდიდატის მხრიდან ამომრჩევლის მოსყიდვაზე. ის ხელისუფლებას მის წინააღმდეგ მიზანმიმართულ ქმედებაშიც ადანაშაულებდა და მოჰყავდა კონკრეტული მაგალითები.

28 ოქტომბერს ოზურგეთში ჩატარდა მსვლელობა კანდიდატის მხარდასაჭერად - ,,არა ძალადობას! არა მოსყიდვას! არა გაყალბებას!'' გამოქვეყნდა ვიდეო, თუ რა გააკეთა შარაშენიძემ მერობის 4 წლის მანძილზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტში.

პირველ ტურამდე საარჩევნო პერიოდში ძირითადად საუბრობდა და აქვეყნებდა ინფორმაციას ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მისი მერობის პერიოდში განხორციელებულ პროექტებზე.

რაც შეეხება დაპირებებს, კანდიდატის საარჩევნო დაპირებები მოიცავდა თითქმის ყველა პრობლემას, რაც ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებით გამოიკვეთა:

- მომზადდება და დამტკიცდება ქალაქ ოზურგეთის განაშენიანების გენერალური გეგმა
- კეთილმოეწყობა ქალაქის ქუჩები და ტროტუარები, შეიქმნება ველო და ფეხით მოსიარულეთათვის ადაპტირებული გარემო
- განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მუნიციპალიტეტის ტურისტული ზონების განვითარება-პოპულარიზაციას
- მომზადდება ქალაქის საკანალიზაციო და წყალარინების ქსელის პროექტი
- მუნიციპალიტეტი იზრუნებს უმეთვალყურეო და მიუსაფარი ცხოველების პრობლემების მოგვარებაზე
- გავაგრძელებთ რეკრეაციული ზონებისა და სპორტული მოედნების მშენებლობას!
- დასაქმების პროგრამის ფარგლებში წახალისდება ადგილობრივი წარმოება, შეიქმნება მიმზიდველი საინვესტიციო გარემო
- უზრუნველვყოფთ სოფლებში წყალმომარაგების სისტემების მოწყობასა და გამართვას
- გავზრდით საზოგადოებრივ ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობას
- მოვაწყობთ ახალგაზრდულ სივრცეებს და მხარს დავუჭერთ მათ მიერ ინიცირებულ პროექტებს

კანდიდატი აქვეყნებს ვიდეოს, რა გაკეთდა ოზურგეთში მისი მერობის პერიოდში და რას გააკეთებს გამარჯვების შემთხვევაში:

- მომზადდება და დამტკიცდება ქალაქ ოზურგეთის განაშენიანების გენერალური გეგმა
- კეთილმოეწყობა ქალაქის ქუჩები და ტროტუარები, შეიქმნება ველო და ფეხით მოსიარულეთათვის ადაპტირებული გარემო
- განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მუნიციპალიტეტის ტურისტული ზონების განვითარება-პოპულარიზაციას
- მომზადდება ქალაქის საკანალიზაციო და წყალარინების ქსელის პროექტი
- მუნიციპალიტეტი იზრუნებს უმელთვალყურეო და მიუსაფარი ცხოველების პრობლემების მოგვარებაზე
- გავაგრძელებთ რეკრეაციული ზონებისა და სპორტული მოედნების მშენებლობას!
- დასაქმების პროგრამის ფარგლებში წახალისდება ადგილობრივი წარმოება, შეიქმნება მიმზიდველი საინვესტიციო გარემო
- უზრუნველვყოფთ სოფლებში წყალმომარაგების სისტემების მოწყობასა და გამართვას
- გავზრდით საზოგადოებრივ ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობას
- მოვაწყობთ ახალგაზრდულ სივრცეებს და მხარს დავუჭერთ მათ მიერ ინიცირებულ პროექტებს

დაპირებები ეხმიანება ჩვენ მიერ გამოკვეთილ პრობლემებს – გენ.გეგმა, საგზაო ინფრასტრუქტურა, წყალმომარაგება და კანალიზაცია, მიუსაფარი ძაღლები, სპორტული მოედნები და რეკრეაციული ზონები, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ახალგაზრდული კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეები.

3.7. საკრებულოს არჩევნებში მონაწილე პარტია - მესამე ძალა - სტრატეგია აღმაშენებელი - კანდიდატი ვლადიმერ ვადაჭკორია

ტრანსპორტთან დაკავშირებული მუნიციპალური ააიპი არ უნდა არსებობდეს და მისი მათვა უნდა ევალებოდეს კერძო კომპანიას, რადგან ეს განვითარებადი სფეროა. როცა პროგრესზე და განვითარებაზეა საუბარი, ჯობია კერძო სექტორმა იფიქროს ამაზე, ვიდრე მუნიციპალიტეტმა.

დაპირებები ეხმიანება ჩვენ მიერ გამოკვეთილ საჭიროებებს - მუნიციპალური ტრანსპორტის მიმართულებით.

კანალიზაცია დიდი ხანია ოზურგეთის პრობლემაა. ამ საკითხის მოგვარება პარტიების, ხალხისა და ბიზნესის გაერთიანებას მოითხოვს. წინასწარ ძნელია კონკრეტული თანხის გამოყოფაზე საუბარი. შედარებით მარტივი გადასაყვეტია ქალაქის ის ქუჩები, სადაც დღესდღეობითაც არ არის სუფთა სასმელი წყალი. სოფლებში წყლის პრობლემის გადასაჭრელად ხშირად მიმართავენ ჭაბურღილების მოწყობას, თუმცა არ ვიცი ეს რამდენად ეფექტურია. საკრებულოში მოსვლის შემდეგ შემეძლება აქტიურად ვიყო ჩათული მსგავსი პროექტების განხილვაში და გადაწყვეტაში.

დაპირებები ეხმიანება ჩვენ მიერ გამოკვეთილ საჭიროებებს - წყალმომარაგების და კანალიზაციის მიმართულებით.

ძაღლების პრობლემა მართლაც ძალიან მწვავეა. თავშესაფარი არსებობს, თუმცა არ ყოფნის მისი შესაძლებლობები. საჭიროა რომ ამ ძაღლებს შევუქმნათ სათანადო პირობები. გვყავს პროფესიონალები, რომელთაც შეუძლიათ ამ თემას მიხედონ.

დაპირებები ეხმიანება ჩვენ მიერ გამოკვეთილ საჭიროებებს - მიუსაფარ ძაღლებთან დაკავშირებით.

სამწუხაროდ, ტენდერებზე ფასის დაგდების შედეგად, მოგებული კომპანია სრულყოფილად და ხარისხიანად არ აკეთებს გზებს. უმჯობესია, გარკვეული ქუჩა თავიდან ბოლომდე, თავისი ტროტუარებით და წყალგამტარებით გაკეთდეს, რადგან ყველა წელიწადს საკეთებელი არ გახდეს. ჯობია ნაკლები გავაკეთოთ და ხარისხიანი, ვიდრე კილომეტრობაში ბევრი და ყველა წელს ხელახლა სარემონტო.

დაპირებები ეხმიანება ჩვენ მიერ გამოკვეთილ საჭიროებებს - საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებასთან დაკავშირებით.

რაიმეს გასაკეთებლად გეგმა აუცილებელია. მით უმეტეს როცა ქალაქს ეხება. მოსაწესრიგებელია პარკირება. საკრებულოში მოსვლის შემთხვევაში აუცილებლად დავაყენებ ექადიის ტყე-პარკის მოწყობის საკითხს. ეს სარეკრეაციო სივრცე ადგილობი მოქალაქეებსაც შეუწყობს ხელს, ტურისტებსაც და ჯანსაღი ცხოვრების წესსაც წაახალისებს.

დაპირებები ეხმიანება ჩვენ მიერ გამოკვეთილ საჭიროებებს - სარეკრიაციო სივრცეების მოწესრიგებასთან დაკავშირებით.

ოზურგეთის ცენტრალურ ბიბლიოთეკას ნამდვილად სჭირდება განახლება და თანამედროვე სტანდარტით მოწყობა. ბიბლიოთეკები ასევე საჭიროა დაბებში. ეს აუცილებელი სივრცეა განვითარებისთვის. ახალგაზრდებისთვის აუცილებელია ველო ბილიკების მოწყობა. ოზურგეთის ქუჩების ნაწილი იძლევა ამის საშუალებას.

დაპირებები ეხმიანება ჩვენ მიერ გამოკვეთილ საჭიროებებს - ახალგაზრდული და საგანმანათლებლო სივრცეების მოწესრიგებასთან დაკავშირებით.

3.6. საკრებულოს არჩევნებში მონაწილე პარტია - ევროპული საქართველო

საზოგადოებრივი ტრანსპორტი - ,,ჩვენი აზრით, ქალაქისა და მიმდებარე სოფლების ტერიტორიაზე აუცილებლად უნდა მოძრაობდეს ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტი, როგორიცაა ტროლეიბუსი. ჩვენი გამარჯვების შემთხვევაში, შევიმუშავებთ მუნიციპალური ტრანსპორტის მოძრაობის მარშრუტებსა და გეგმა გრაფიკს. ტენდერის საფუძველზე გამოვავლენთ გამარჯვებულ კომპანიას, რომელიც მოემსახურება მგზავრებს. დავასუფსიდირებთ მოწყვლადი ჯგუფებისა და სხვადასხვა სოციალური ფენების ინტერესებს. ვიმუშავებთ ბანკებთან და სხვადასხვა დონორ ორგანიზაციებთან მუნიციპალური ეკოტრანსპორტის შესაძენად.''

დაპირებები ეხმიანება ჩვენ მიერ გამოკვეთილ საჭიროებებს - მუნიციპალური ტრანსპორტის მიმართულებით.

წყალმომარაგება და საკანალიზაციო სისტემა - ,,ჩვენი გამარჯვების შემთხვევაში, პირველი 2 წლის ბიუჯეტის ინფრასტრუქტურული ნაწილის 75% სრულად მიმართული იქნება ამ პრობლემის მოსაგვარებლად.''

დაპირება ეხმიანება ჩვენ მიერ გამოკვეთილ საჭიროებებს - წყალმომარაგების და კანალიზაციის მიმართულებით.

მიუსაფარი ძაღლები -,, შეიქმნება სპეციალური სამსახური (კომპეტენტური თანამშრომლებით), ამ სამსახურისა და ტერიტორიულ ორგანოებში მერის წარმომადგენლების ერთობლივი თანამშრომლობით, მოხდება როგორც შინაური, ასევე უპატრონო და მაწანწალა ძაღლების აღრიცხვა და ადმინისტრირება. უპატრონო და მაწანწალა ძაღლებისთვის შეიქმნება ვოლიერები. გამკაცრდება და გატარდება საჯარიმო სანქციები ძაღლთა უფლებების დამრღვევთა მიმართ.''

დაპირება ეხმიანება ჩვენ მიერ გამოკვეთილ საჭიროებებს - მიუსაფარ ძაღლებთან დაკავშირებით.

შიდა გზები და საგზაო ინფრასტრუქტურა - ,,შეიქმნება გრძელვადიანი გეგმა, სადაც პრიორიტეების განსაზღვრის გათვალისწინებით დაიგეგმება შიდასასოფლო გზების რეაბილიტაციის გრაფიკი.''

დაპირება ეხმიანება ჩვენ მიერ გამოკვეთილ საჭიროებებს - საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

გენერალური გეგმა - ,,ქალაქისა და, ზოგადად, მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის უმთავრესი დოკუმენტის, განაშენიანებისა და განვითარების გენერალური გეგმის შესაქმნელად, გამარჯვების პირველივე დღიდან მოწვეული და დაქირავებული იქნება ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტები, სპეციალისტები და რაც შეიძლება მოკლე ვადაში შევადგენთ, წარვუდგენთ საზოგადოებას და დავამტკიცებთ ოზურგეთის განვითარების გენ. გეგმას.''

დაპირება ეხმიანება ჩვენ მიერ გამოკვეთილ საჭიროებებს - გენ.გეგმის მიღების აუცილებლობასთან დაკავშირებით.

სარეკრეაციო, სპორტული და კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეები - ,,ამ მიმართულებით მიგვაჩნია, რომ პარკი, სკვერი, სპორტული მოედანი და ა.შ. კულტურისა და დასვენების ობიექტები მხოლოდ ქალაქის ტერიტორიაზე არ უნდა იყოს განთავსებული. ვფიქრობთ, რომ ქალაქი უნდა გაფართოვდეს და სხვადასხვა სოფლების ადმინისტრაციულ და თავშეყრის ადგილებში უნდა განვათავსოთ ზემოაღნიშნული ობიექტები.''

დაპირება ეხმიანება ჩვენ მიერ გამოკვეთილ საჭიროებებს - სარეკრეაციო, სპორტული და კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეებთან დაკავშირებით.

3.7. საკრებულოს არჩევნებში მონაწილე პარტია - გირჩი მეტი თავისუფლება - კანდიდატი ზურა ქუტიძე

გირჩი მეტი თავისუფლება მოახლოებულ თვითმმართველობის არჩევნებს უყურებს როგორც რეფერენდუმს, რომელმაც უნდა მოიტანს ვადამდელი არჩევნები და ახალ კოალიციურ მთავრობასთან ერთად შეიმუშაოს ფუნდამენტურად შეცვლილი მმართველობის სისტემა. ქვეყნის მოწყობა, სადაც სახელმწიფოს როლი მაქსიმალურად შემცირებლია, სადაც არ არსებობს მზრუნველი მთავრობა და მუნიციპალიტეტები თავიანთ პრობლემებს ადგილობრივად წყვეტენ. ჩვენ არ ვფიქრობთ რომ საკრებულოში მსხდომები უნდა მუშაობდნენ რამე კონკრეტულ გეგმაზე რომელიც აღმოფხვრის სატრანსპორტო პოლიტიკას, ჩვენ ვამბობთ რომ ეს უნდა გააკეთოს კერძო სექტორმა, ხოლო თვითმმართველობის ვალდებულებაა შეიძინოს საუკეთესო პროდუქტი უკვე არსებული თავისუფალი ბაზრიდან. იგივე პრობლემებს ვხედავთ წყალმომარაგების თუ საკანალიზაციო სისტემებთან. ეს სფეროც სრულად მონოპოლიზირებულია. არ არსებობს სხვა პროვაიდერი კომპანიები, რომლებს შორისაც არჩევნის გაკეთებას შევძლებდით.

დაპირებები ეხმიანება ჩვენ მიერ გამოკვეთილ საჭიროებებს - მუნიციპალური ტრანსპორტის, წყალმომარაგებასა და კანალიზაციასთან დაკავშირებით.

იმ ფონზე როდესაც მუნიციპალიტეტში უამრავი მზრუნველობა მოკლებული ბავშვია, როდესაც უამრავი ოჯახია რომელსაც არ აქვს საკვების ფული თუ საცხოვრებელი, არამიზნობრივი გვგონია უპატრონო ცხოველებისთვის ფულადი თუ ადამიანური რესურსების გახარჯვა. ცხოველებისთვის ადაპტირებული საცხოვრებელი გარემოს მოწყობა და მათზე ზრუნვა სრულად საქველმოქმედო ორგანიზაციების და სამოქალაქო საზოგადოების პრეროგატივაა. ხოლო აგრესიული და საზოგადოებისთვის საშიში ცხოველების ქუჩებიდან გაყვანა/დაძინება/სტერილიზაციიისთვის მუნიციპალიტეტმა უნდა ითანამშრომლოს კერძო კომპანიებთან რომლებიც წარმოიქმნებიან თავისუფალი ბიზნეს გარემოს არსებობის შემთხვევაში.

დაპირებები ეხმიანება ჩვენ მიერ გამოკვეთილ საჭიროებებს - მიუსაფარ ძაღლებთან დაკავშირებით.

ადამიანების სიცოცხლე. თავისუფლება და საკუთრება არის ფუნდამენტური უფლება. გირჩი მეტი თავისუფლების გუნდისთვის არ არსებობს ამ სამებაზე ღირებული მცნებები. ადამიანის საკუთრება ხელშეუხებელია, როგორც მისი სიცოცხლე და თავისუფლება. ჩვენ ვიძლევით პირობას რომ ყველაფერს გავაკეთებთ, სამშენებლო სექტორი გავათავისუფლოთ ყველანაირი რეგულაციებისგან და არასდროს გვქონდეს წინასწარი მშენებლობის ჩარჩო, რომელსაც „გენ გეგმას“ დავუძახებთ.

დაპირებები ეხმიანება ჩვენ მიერ გამოკვეთილ საჭიროებებს - გენ.გეგმასთან დაკავშირებით.

3.8. საკრებულოს არჩევნებში მონაწილე პარტია ანა დოლიძე - ხალხისთვის კანდიდატი ვანო გოგოლაშვილი

სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდაზე საუბრობს პარტიის წარმომადგენელი და გურიის სამოქალაქო ცენტრის მიერ გაგზავნილ კითხვებს შემდეგნაირად პასუხობს: „ყველა ზემოთჩამოთვლილ კითხვაზე არის ერთი პასუხი: პოლიტიკური პარტია ,,ანა დოლიძე - ხალხისთვის" საკრებულოში მოხვედრის შემთხვევაში დეტალურად განვიხილავთ ოზურგეთის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს, დავსახავთ პრიორიტეტებს (რომლებშიაც ინფრასტრუქტურული პროექტები არავითარ შემთხვევაში არ იქნება წამოწეული წინა პლანზე, რამეთუ ისინი ძირითადად ე. წ. ,,ატკატების“ წყაროა და ხალხის რეალურ საზოგადოებრივ სიკეთეებზე ნაკლებადაა ორიენტირებული), რომლებშიაც კოვიდთან, სიღატაკესთან, დემოგრაფიულ პრობლემებთან, სოფლად მოსახლეობის დამაგრებასთან, სამუშაო ადგილების შექმნასთან, იქნება დაკავშირებული და ეს ყველაფერი იქნება საზოგადოების სხვადასხვა ფენებისა და თუნდაც საკრებულოში ვერმოხვედრილი პარტიების ფართო ჩართულობით, საჯაროდ და გამჭვირვალედ."

3.9. საკრებულოს არჩევნებში მონაწილე პარტია - ლელო - კანდიდატი ტოგო ქელიძე

მუნიციპალური ტრანსპორტი უნდა ემსახურებოდეს ოზურგეთის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულს, როგორც ქალაქში, ასევე სოფელში. ტრანსპორტი უნდა იყოს ადაპტირებული, ასევე მორგებული სკოლებისა და საბავშვო ბაღების სასწავლო გრაფიკებს; ტრანსპორტის სახეობა და რაოდენობა უნდა განისაზღვროს ადმინისტრაციული ერთეულების სიდიდის და მოსახლეობის რაოდენობის რაოდენობის გათვალისწინებით; ბიუჯეტის წინასწარ განსაზღვრა შესბამისი კვლევის გარეშე რთულია. პირველ ეტაპზე მუნიციპალიტეტმა უნდა შეისწავლოს არსებული ვითარება, დაადგინოს სად რა სახის საჭიროებები დგას და ბიუჯეტი უნდა განისაზღვროს მხოლოდ ამის შემდეგ თვითმმართველობა სრულფასოვანი საზოგადოებრივი ტრასნპორტის სისტემას ერთბაშად ვერ შექმნის, თუმცა უნდა გეგმა უნდა გაიწეროს კონკრეტულ, გონივრულ ვადებში და განხორციელდეს ეტაპობრივად

დაპირებები ეხმიანება ჩვენ მიერ გამოკვეთილ საჭიროებებს - მუნიციპალურ ტრანსპორტთან დაკავშირებით.

წყალმომარაგების, საკანალიზაციო და წყალარინების სისტემის, გამწმენდი სისტემის შექმნა არსებული მწირი ფინანსური რესურსების პირობებში მუნიციპალიტეტს არ შეუძლია. ამ საკითხებზე პირველ რიგში პასუხისმგებელი გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია და რეგიონული განვითარების სამინისტროა. მაგალითად ზუგდიდში 2021 წელს დასრულდა წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემის მშენებლობა, რომელიც სრულად ცენტრიდან იქნა დაფინანსებული. მუნიციპალიტეტმა უნდა იმუშავოს ცენტრთან, რათა ამ სისტემის მშენებლობისთვის მოიპოვოს დაფინანსება.

დაპირებები ეხმიანება ჩვენ მიერ გამოკვეთილ საჭიროებებს - წყალმომარაგებასა და წყალარინებასთან დაკავშირებით.

ცხოველების თავშესაფრის მშენებლობა პრობლემას ვერ გადაჭრის. პრობლემის მოგვარების გზა მიუსაფარი ძაღლების აღრიცხვა, მათი სტერილიცაზია, ვაქცინაციააა. უნდა გამოვლინდეს პრობლემის მოგვარებაზე პასუხისმგებელ პირთა ჯგუფი, შემუშავდეს მიუსაფარ ძაღლების უკონტროლ ზრის შეჩერების გეგმა, დათვლილ იქნა ბიუჯეტი და შემდეგომ დაიწყოს მისი აღსრულება

დაპირებები ეხმიანება ჩვენ მიერ გამოკვეთილ საჭიროებებს - მიუსაფარ ცხოველებთან დაკავშირებით.

ყველაზე მნიშვნელოვანია ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესრულების კონტროლი, ხარისხის კონტროლი და პროექტის მას შემდეგ ჩაბარება რაც ოფიციალურად დამოწმდება, რომ კონკრეტული გზა თუ შენობა სტანდარტებისა და ნორმების მიხედვითაა შესრულებული. გენ.გეგმის გარეშე მუნიციპალიტეტის განვითარება სრულიად წარმოუდგენელია. ადგილობრივი მწირი ფინანსური რესურსების გათვალისწიებით მუნიციპალიტეტმა უნდა მოიპოვოს გარე დაფინანსება გენ.გეგმის შესადგენად.

დაპირებები ეხმიანება ჩვენ მიერ გამოკვეთილ საჭიროებებს - საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებასა და გენ.გეგმასთან დაკავშირებით.

პირველ რიგში უნდა შემუშავდეს მწვანე სარეკრეაციო სივრცეების განვითარების სტანდარტი, ეს უნდა გახდეს გენ.გეგმის ნაწილი და ახალი სივრცეების მოწყობა უნდა მოხდეს მხოლოდ ამის შემდგომ. რეკრეციული სივრცეები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ფეხით სავალ მანძილზე მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციული ერთეულის ყველა დასახლების მცხოვრებისათვის

დაპირებები ეხმიანება ჩვენ მიერ გამოკვეთილ საჭიროებებს - რეკრიაციული სივრცეების მოწესრიგებასა და გენ.გეგმასთან დაკავშირებით.

4. მუნიციპალურ ორგანოთა არჩევნების მეორე ტურის მონიტორინგი

პროექტის გუნდმა შვიდი კითხვით მიმართა ნარუჯა-ლაითურში ,,ქართული ოცნებისა'' და ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' მეორე ტურში გადასულ მაჟორიტარობის კანდიდატებს და ჰკითხა მათ, ჰქონდათ თუ არა კონკრეტული გეგმა, როგორ უნდა მოგვარებულიყო შვიდი ყველაზე მწვავე პრობლემა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში და რა მდგომარეობაა კონკრეტულად მათ სამაჟორიტარო ოლქში ამ მხრივ.

4.1. გიორგი ჩაგანავა - ,,ქართული ოცნება''

საზოგადოებრივი ტრანსპორტი - **,,თანამედროვე მუნიციპალური ტრანსპორტი ჩვენი გუნდის 8-პუნქტიანი გეგმის ერთ-ერთი პრიორიტეტია. იგეგმება ახალი ავტობუსების შესყიდვა, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის გადაადგილებას, მოემსახურება ჩემს სამაჟორიტარო ოლქში ყველა უბანს და იმოძრავებს დადგენილი განრიგის შესაბამისად. ''**

საკანალიზაციო სისტემა - **,,სოფლებსა და დაბებში სრულიად არ არსებობს საკანალიზაციო სისტემა. რაც შეეხება გამწმენდ ნაგებობას, ეს პრობლემა წინა მოწვევის საკრებულოში არც კი დამდგარა დღის წესრიგში, ჩემი არჩევის შემთხვევაში, ვპირდები ოზურგეთის მოსახლეობას, რომ გამწმენდი ნაგებობის მშენებლობის საკითხს დავაყენებ საკრებულოს სხდომაზე.''**

წყალმომარაგება - **,,ჩემს სამაჟორიტარო ოლქში ეს პრობლემა მოგვარებულია, მოსახლეობას წყალი 24-საათიანი გრაფიკით მიეწოდება. ჩემს როლს ამ პრობლემის მოგვარებაში ვხედავ შემდეგნაირად - მხარს დავუჭერ წყალმომარაგებისათვის შემოტანილ ყველა პროექტს.''**

მიუსაფარი ძაღლები - **,,მიუსაფარი ძაღლების პრობლემა მწვავედ დგას როგორც ჩემს სამაჟორიტარო ოლქში, ასევე მთლიანად მუნიციპალიტეტში. ჩვენი გუნდი გეგმავს მიუსაფარი ცხოველებისათვის თანამედროვე თავშესაფრის მოწყობას და გუნდს აქვს კომპლექსური გეგმა აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად.''**

შიდა გზები და საგზაო მოძრაობა - **,,სტრატეგია საუბნო მნიშვნელობის გზების მოწესრიგებქ ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია, რომელიც გუნდის 8-პუნქტიან გეგმაში შედის. იგეგმება შიდა გზების კეთილმოწყობა, გათვალისწინებული იქნება საგზაო მოძრაობის მოწესრიგება.''**

გენერალური გეგმა - **,, გენ.გეგმა აუცილებელია ოზურგეთის განვითარების, განაშენიანების, მოწესრიგებისა და სარეკრეაციო და საჯარო სივრცეების დაცვისათვის. არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, ჩემთვის პრიორიტეტულია რომ ოზურგეთს ჰქონდეს გენერალური გეგმა.''**

სარეკრეაციო, სპორტულ და კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეები - **,,ახალგაზრდებს აწუხებთ ეს პრობლემა იმ ოლქში, სადაც მე ვიყრი კენჭს. ვპირდები ახალგაზრდობას, რომ მოწესრიგდება ორივე დაბაში როგორც ცენტრალური, ისე მინი-სტადიონები უბნების მიხედვით. სპორტი, რეკრეაცია და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება არის ჩვენი გუნდის მიზანი.''**

4.2. რაინდი დუმბაძე - ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა''

საზოგადოებრივი ტრანსპორტი - ,,ვფიქრობ, პირველ რიგში, უნდა დავიწყოთ ტრანსპორტის რაოდენობის გაზრდით, რომელიც იქნება გამართული და ადაპტირებული, ხოლო სამოძრაო მარშრუტი ხელმისაწვდომი უნდა იყოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ყველა დაბისა თუ სოფლისთვის. გარდა ამისა, მოძრაობის განრიგის სიხშირის გაზრდის მიზნით, ვფიქრობ, შეიძლება შეიქმნას საავტობუსე სისტემა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ნებისმიერი სეგმენტისათვის, რაც აღმოფხვრის აღნიშნულ პრობლემას.''

საკანალიზაციო სისტემა - ,,პრობლემის სირთულიდან და მოცულობიდან გამომდინარე, რთულია კონკრეტული დროის დასახელება, თუ როდის/რომელი წლისთვის იქნება გეგმა განხორციელებული, თუმცა, გამომდინარე იქედან, რომ საკანალიზაციო ქსელის, ისევე როგორც გამწმენდი ნაგებობის არ არსებობა, საგანგაშოა და მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს მოსახლეობისა და გარემოს უსაფრთხოებისათვის, პირველი ნაბიჯები მალევე უნდა გადაიდგას და უნდა მოხდეს მოძიება ყველა იმ რესურსის, რაც ხელს შეუწყობს ამ პრობლემის მოგვარებას. ''

წყალმომარაგება - ,,ბევრია გასაკეთებელი წყლის ეფექტური სისტემების დასანერგად, რისთვისაც საკმაოდ მსხვილი ფულადი რესურსი იქნება საჭირო. მე მხარს დავუჭერ, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ყველა სოფელმა მიიღოს სუფთა სასმელი წყალი და წყლის მიწოდების გრაფიკი იყოს 24-საათიანი.''

მიუსაფარი ძაღლები - ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტს არ აქვს მიუსაფარი ცხოველების იზოლირებისა და მოვლა-პატრონობისათვის საკმარისი რაოდენობის თავშესაფარი. ვფიქრობ, ამ პრობლემის მოსაგვარებლად ქმედითი ნაბიჯები უნდა გადაიდგას, რომელზეც პასუხისმგებლობა მუნიციპალიტეტმა უნდა აიღოს. პირველ რიგში, უნდა განხორციელდეს ქუჩაში მცხოვრები ცხოველების მასობრივი სტერილიზაცია/კასტრაცია. ასევე, აუცილებელია მათი აღრიცხვა, უნდა არსებობდეს ჩიპირების ვალდებულება, ეს საშუალებას მოგვცემს, ვიცოდეთ ზუსტი სტატისტიკა, რის შემდეგაც, მარტივად იქნება შესაძლებელი განსაზღვრული რაოდენობის თავშესაფრის აშენება და შესაბამისი მოვლა/პატრონობის გაწევა. ასევე, უნდა გაიზარდოს ცნობიერება მოსახლეობაში და მარტივად არ უნდა ხდებოდეს ცხოველის ქუჩაში დატოვება. მოსახლეობას უნდა გააჩნდეს მეტი პასუხისმგებლობა, რომლის მიღწევაც შესაძლებელი იქნება ჯარიმის დაწესებით ცხოველის შინიდან გამოგდების შემთხვევაში.

შიდა გზები და საგზაო მოძრაობა - ,,ჩემს სამაჟორიტარო ოლქში სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტომობილით დროულად მოსვლა თითქმის შეუძლებელია შიდა გზების ავარიულობის გამო. პირველ რიგში, უნდა მოწესრიგდეს შიდა გზები, რაც საგზაო მოძრაობასაც დაარეგულირებს. შიდა გზების მოწესრიგებასთან ერთად, აუცილებლად უნდა გაკეთდეს ქუჩაში გარე განათებები, ღამით გადაადგილება დაბრკოლებას რომ აღარ წარმოადგენდეს როგორც ფეხით მოსიარულე პირისთვის, ისე ტრანსპორტით მოძრაობის შემთხვევაში. ჩემი გამარჯვების შემთხვევაში, ამ საკითხს აუცილებლად დავაყენებ საკრებულოს სხდომაზე.''

გენერალური გეგმა - ,,ოზურგეთს კარგად დაგეგმილი და ჩამოყალიბებული ქალაქის სტრუქტურა, ქუჩათა ქსელი და საკუთარი უნიკალური ხასიათი აქვს, რომლის წარმოჩენაც და განვითარებაც გენერალური გეგმის არსებობის შემთხვევაში უკეთესად იქნება შესაძლებელი. საჭიროდ მიმაჩნია, არსებობდეს გენერალური გეგმა, ვინაიდან ის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია, რომელიც თავის მხრივ სტაბილური, გრძელვადიანი და მდგრადი განვითარების ლეგიტიმური ინტრუმენტია. გარდა ამისა, უზრუნველყოფს კერძო და საზოგადოებრივი ინტერესების დაბალანსებას და ერთპიროვნული გადაწყვეტილების რისკებისა და თვითნებობის შემცირებას, საზოგადოებრივი წესრიგის შექმნას, მიწების რაციონალურ და ეფექტურ გამოყენებას და ა.შ. ''

სარეკრეაციო, სპორტულ და კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეები - ,,კონკრეტულად ჩემს სამაჟორიატრო ოლქში სარეკრეაციო და კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეები არ არსებობს. ასევე, არ არსებობს სპორტული მოედანი რამდენიმე უბანში, რაც არის, არის მოუწესრიგებელი და არ ხდება დანიშნულების შესაბამისად გამოყენება. ვფიქრობ, აუცილებელია, მოეწყოს სარეკრეაციო ზონები, საგანმანათლებლო ცენტრები და საფეხბურთო მინი- მოედნები იმ უბნებში, სადაც არ არსებობს, ხოლო უკვე არსებულ და მოუწესრიგებელ მოედნებს უნდა ჩაუტარდეს რეაბილიტაცია.''

5. დასკვნა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები პოლარიზაციის და დაძაბულობის მაღალი ხარისხით ხასიათდებოდა. გურიის სამოქალაქო ცენტრის და პარტნიორი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული აქტივობები, ხელს უწყობდა საჯარო სივრცეში საგნობრივ დისკუსიაზე დაფუძნებული წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვის შესაძლებლობებს. ამ მიზნით ადგილობრივ პრესაში და სოციალურ ქსელებში ქვეყნდებოდა კანდიდატების პასუხები მოსახლეობის 7 ყველაზე მწვავე საჭიროების შესახებ. ადგილობრივ სატელევიზიო და ასევე ინტერნეტ სივრცეში განთავსდა მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატებს შორის გამართული წინასაარჩევნო შეხვედრის ამსახველი ვიდეო მასალა, ჩაიწერა და გავრცელდა კანდიდატების ვიდეო მიმართვები.

პროექტების აქტივობებმა საკმაოდ დიდი წვლილი შეიტანა დაძაბულ წინასაარჩევნო პროცესში და ის უფრო საგნობრივ დისკუსიაზე ორიენტირებული გახადა, რასაც ადასტურებს კანდიდატების მიერ გამართული წინასაარჩევნო შეხვედრების და სოციალური ქსელების მონიტორინგის შედეგები. პროექტის ფარგლებში იდენტიფიცირებული შვიდივე მწვავე საკითხი ასახული იყო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გასული სამივე პარტიის კანდიდატების და არჩეული მერის წინასაარჩევნო პროგრამებში.

აღნიშნული მონიტორინგის ანგარიშზე და მის შედეგებზე დაყრდნობით შეიქმნა ამომრჩევლის მონიტორინგის ფორმა (იხ.დანართი) რომელიც ეფუძნება შემდეგი რესურსებს:

- კანდიდატების მიერ 7 საჯარო კითხვაზე გამოგზავნილი პასუხები;
- კანდიდატების წინასაარჩევნო კამპანიის მონიტორინგის შედეგები (პრესა, სოციალური ქსელები, ამომრჩევლებთან შეხვედრები)
- წინასაარჩევნო შეხვედრა კანდიდატებს და სამოქალაქო სექტორს შორის, სატელევიზიო ფორმატში;
- კანდიდატების ვიდეო მიმართვები.

მონიტორინგის ფორმაში ასახულია ყველა ის საკითხი, რომელთა გარშემოც მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, სამოქალაქო საზოგადოების მიერ განხორციელდება ეფექტიანი მონიტორინგი, ასევე, არჩეული მერის დაპირებების საფუძველზე მომზადდა „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის, ავთანდილ თალაკვაძის დაპირებების ცხრილი“, რომელიც დაიბეჭდება და გასაცნობად დაურიგდება მოსახლოებას, ასევე გავრცელდება სოციალურ ქსელებსა და ბეჭდური მედიის საშუალებებით.

დანართი

ოზურგეთის მერის, ავთანდილ თალაკვაძის დაპირებების მონიტორინგის ცხრილი

შესრულებული დაპირება მონიშნეთ მწვანედ. თუ საკითხის შესახებ მიმდინარეობს მსჯელობა, დაყენებულია ინიციატივა ან შეს-რულებულია/მიმდინარეობს პროექტირება, გრაფა მონიშნეთ ყვითლად.
სრულიად უგულებელყოფილი დაპირება მონიშნეთ წითლად.

შემოყვანილია ახალი ავტობუსები მუნიციპალური ტრანსპორტისთვის	
განახლებულია ავტობუსების მოსაცდელები და ტაბლოები	
4 წელიწადში საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის დახარჯულია 3-5 მილიონი ლარი	
საკანალიზაიო ინფრასტრუქტურაზე ზრუნვა დაწყებულია	
მომზადებულია საკანალიზაციო ინფრასტრუქტურის პროექტი	
უზრუნველყოფილია წყალმომარაგება შემდგ სოფლებში: მერია, შრომა, კონჭკათი, ძიმითი	
მოწყობილია უპატრონო ძაღლებისთვის თანამედროვე თავშესაფარი	
ამოქმედებულია ცხელი ხაზი	
შემოღებულია მუნიციპალური რეგულაციები ძაღლების მიტოვებაზე	
წახალისებულია მიუსაფარი ძაღლების აყვანა და მოვლა	
საგზაო პროექტები დასაბუთებულია სოციალური, ეკონომიკური და გეოგრაფიული არგუმენტებით	
ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება დაცულია	
მოწყობილია მოტოტრაპონსრტისა და ველოსიპედების ბილიკები	
ქალაქის გენერალური გეგმა მომზადებულია	
სპორტი და რეკრეაცია ყველასთვის ხელმისაწვდომია	

იანვარი

ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვი
					1	2
3	4	5	6	7	8	9
10	11	12	13	14	15	16
17	18	19	20	21	22	23
24	25	26	27	28	29	30

თებერვალი

ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვი
	1	2	3	4	5	6
7	8	9	10	11	12	13
14	15	16	17	18	19	20
21	22	23	24	25	26	27
28						

მარტი

ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვი
	1	2	3	4	5	6
7	8	9	10	11	12	13
14	15	16	17	18	19	20
21	22	23	24	25	26	27
28	29	30	31			

აპრილი

ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვი
				1	2	3
4	5	6	7	8	9	10
11	12	13	14	15	16	17
18	19	20	21	22	23	24
25	26	27	28	29	30	

მაისი

ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვი
						1
2	3	4	5	6	7	8
9	10	11	12	13	14	15
16	17	18	19	20	21	22
23	24	25	26	27	28	29
30	31					

ივნისი

ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვი
		1	2	3	4	5
6	7	8	9	10	11	12
13	14	15	16	17	18	19
20	21	22	23	24	25	26
27	28	29	30			

ივლისი

ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვი
				1	2	3
4	5	6	7	8	9	10
11	12	13	14	15	16	17
18	19	20	21	22	23	24
25	26	27	28	29	30	31

აგვისტო

ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვი
1	2	3	4	5	6	7
8	9	10	11	12	13	14
15	16	17	18	19	20	21
22	23	24	25	26	27	28
29	30	31				

სექტემბერი

ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვი
			1	2	3	4
5	6	7	8	9	10	11
12	13	14	15	16	17	18
19	20	21	22	23	24	25
26	27	28	29	30		

ოქტომბერი

ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვი
					1	2
3	4	5	6	7	8	9
10	11	12	13	14	15	16
17	18	19	20	21	22	23
24	25	26	27	28	29	30
31						

ნოემბერი

ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვი
	1	2	3	4	5	6
7	8	9	10	11	12	13
14	15	16	17	18	19	20
21	22	23	24	25	26	27
28	29	30				

დეკემბერი

ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვი
			1	2	3	4
5	6	7	8	9	10	11
12	13	14	15	16	17	18
19	20	21	22	23	24	25
26	27	28	29	30	31	

მონიტორინგის ცხრილი მომზადებულია პროექტის „ინფორმირებული არჩევანი“ ფარგლებში, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) დაფინანსებით ხორციელდება გურიის სამოქალაქო ცენტრისა და ქალები რეგიონის განვითარებისთვის მიერ.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი პარტიების დაპირებების მონიტორინგის ცხრილი

შესრულებული დაპირება მონიშნეთ მწვანედ. თუ საკითხის შესახებ მიმდინარეობს მსჯელობა, დაყენებულია ინიციატივა ან შესრულებულია/მიმდინარეობს პროექტირება, გრაფა მონიშნეთ ყვითლად. სრულიად უგულებელყოფილი დაპირება მონიშნეთ წითლად.

ცხრილი ივსება 2022 -2023-2024-2025 წლების ნოემბერში.

ი ნ ფ რ ა ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა					
საკანალიზაციო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, მათ შორის, გამწმენდი ნაგებობის მოწყობა		საკანალიზაციო სისტემების მოწყობა, მათ შორის, სოფლებში, თანამედროვე ინოვაციური მეთოდებით		ქალაქ ოზურგეთის, დაბების და საკურორტო ადგილების სასმელი წყლით მომარაგება და მიმდინარე პროექტების კონტროლი	
წყალმომარაგების ახალი ინფრასტრუქტურის მოწყობა, სადაც ეს შესაძლებელი და ხარჯთეფექტურია					
რეზერვუარების აღდგენა წყალსაქაჩი სისტემებით		სასმელი წყლის ხელმისაწვდომობა როგორც ქალაქის, ასევე სოფლების მაცხოვრებლებისთვის			
ტექნიკური წყლის რესურსის გამოყენება				მძიმეწონიანი მანქანებისგან დაზიანებული შიდა გზების მოწესრიგება და მონიტორინგი	
ჭაბურღილების მოწყობა მარტივი საქაჩი სისტემით		შიდა გზების მოწესრიგება პარტიული ინტერესების ნაცვლად, სპეციალისტების შესაბამისი დასკვნების საფუძველზე			
გზების დაგება სამართლიანად და სოციალური, ეკონომიკური და გეოგრაფიული არგუმენტებით				საკანალიზაციო სისტემების მოწყობა განსაკუთრებული პრიორიტეტით - ქალაქი, დაბები და საკურორტო ადგილები	
მოტო და ველობილიკების მოწყობა					
საგზაო მოძრაობის მოწესრიგება		მდინარე ბჟუჟის სანაპირო ზოლზე ველობილიკის მოწყობა		შიდა გზებზე გამოყოფილი თანხების ხარჯვის ეფექტიანობის კონტროლი	
ღირსეული საცხოვრისით უზრუნველყოფა და საბინაო პრობლემების ეტაპობრივი გადაწყვეტა					
ტ რ ა ნ ს პ ო რ ტ ი					
ახალი ავტობუსების შესყიდვა		იაფი, კომფორტული და ხელმისაწვდომი მუნიციპალური ტრანსპორტი ყველა სოფელში		ყველა ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულში გამართული, კომფორტული და იაფი სატრანსპორტო საშუალება.	
მოსაცდელების რეაბილიტაცია					
საინფორმაციო ტაბლოების მონტაჟი		ახალი მუნიციპლური ავტოპარკის შექმნა და, მათ შორის, სერვისის არსებული მიმწოდებლების დასაქმება			
ტრანსპორტის სფეროში, კერძო და საჯარო პარტნიორობის განვითარება				ამორტიზებული სატრანსპორტო პარკის სრულად განახლება	
3-5 მილიონი 4 წელიწადში სატრანსპორტო პრობლემების მოსაგვარებლად				5-6 მილიონი ტრანსპორტის მომსახურების გაუმჯობესებისთვის	
გ ა რ ე მ ო ს დ ა ც ვ ა დ ა უ ს ა ფ რ თ ხ ო ე ბ ა					
მიუსაფარ ცხოველთა თავშესაფრის მოწყობა ინტერმუნიციპალური თანამშრომლობით		ცხოველების მასიური სტერილიზაცია / კასტრაცია და ვაქცინაცია (ცოფზე)		ქალაქის დიდი და მცირე მდინარეების დაცვა წყალარინების თხევადი ნარჩენების ჩადინებისგან	
უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული რეგულაციების განახლება					
ძაღლების აყვანისა და მოვლის წახალისება		სარეაბილიტაციო თავშესაფრის მოწყობა, აგრესიული და დაავადებული ცხოველებისთვის		თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი თავშესაფრის აშენება მიუსაფარი ცხოველებისთვის	
მიუსაფარ ცხოველებთან დაკავშირებით ცხელი ხაზის ამუშავება				საინფორმაციო კამპანია მოსახლეობასთან მიუსაფარ ცხოველებთან დაკავშირებით	
ავტოსაგზაო შემთხვევების შემცირება				მიუსაფარი ცხოველების მართვის სპეციალური სამსახურის შექმნა	
ა დ გ ი ლ ო ბ რ ი ვ ი ე კ ო ნ ო მ ი კ უ რ ი გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა დ ა გ ე ნ. გ ე გ მ ა					
ქალაქის გენერალური გეგმის მომზადება და დამტკიცება		თანამედროვე გენერალური გეგმის შედგენა ადგილობრივი და უცხოელი სპეციალისტების ჩართულობით		გენ. გეგმის დამტკიცება საჯარო განხილვის და საზოგადოებასთან აქტიური კომუნიკაციის გზით	
სამეწარმეო, სოფლის მეურნეობის და ტურისტული პროექტების მხარდაჭერა - ახალი სამუშაო ადგილების შექმნა					
ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობა სტარტაპ პროექტების დაფინანსებით					
სოფლის მეურნეობის სფეროში ახალი პროექტების ხელშეწყობა		ინვესტიციების მხარდაჭერა და სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტები			
დასაქმების შესაძლებლობების ხელშეწყობა					
სოფლად წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია და მცირე მეურნეობების ოპტიმიზაციის ხელშეწყობა					
ს პ ო რ ტ ი, კ უ ლ ტ უ რ ა, ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ო ბ ა					
რეკრეაციული და სპორტული სივრცეები ქალაქის უბნებსა და სოფლების ცენტრებში ყველა თაობისთვის		საჩოგბურთო კორტის აღდგენა		ახალი სარეკრიაციო სივრცეები განსაკუთრებული პრიორიტეტით – მრავალბინიანი კორპუსებისთვის	
ახალი საფეხბურთო სტადიონი სოფელ ბახვს		მოვლილი დასასვენებელი პარკები, სკვერები - ყველა სოფელს, დაბას და ქალაქის ყველა უბანს			
პროფესიული განათლების მხარდაჭერა					
ქალაქსა და სოფლებში ისტორიული ადგილების რეაბილიტაცია და სკვერების მოწყობა					
ახალი თაობის უფრო მეტი მონაწილეობა ადგილობრივი მმართველობის პროცესში		სპორტული განვითარების სათანადო პირობები ახალგაზრდებს		ინოვაციური სპორტული, სარეკრეაციო და კულტურის დაწესებულებები, ძველების რეაბილიტაცია	
სპორტული მოედნების და კლუბების რეაბილიტაცია					
მეტი მხარდაჭერა სპორტულ მწვრთნელებს		თანამედროვე არქიტექტურის და აღჭურვილობის მქონე ბიბლიოთეკა			
ახალი სარეკრეაციო სივრცეების მოეწყობა					
ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია		ტექნოლოგიური პარკი ახალგაზრდებს			
ს ო ც ი ა ლ უ რ ი დ ა ჯ ა ნ დ ა ც ვ ა					
გარემოს და ინფრასტრუქტურის ეტაპობრივი ადაპტირება		მიზნობრივი ჯგუფების გამოყოფა და მათზე მორგებული პოლიტიკის შემუშავება		ტრანსპორტის მომსახურების სფეროში – სოციალურად დაუცველთა და პენსიონერთა შეღავათიანი ტარიფები	
სოციალური მხარდამჭერი სერვისების განვითარება					
აუტიზმის ცენტრის გახსნა ოზურგეთში					
რეაბილიტაციისა და აბილიტაციის სერვისების მხარდაჭერა					

მონიტორინგის ცხრილი მომზადებულია პროექტის „ინფორმირებული არჩევანი" ფარგლებში, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) დაფინანსებით ხორციელდება გურიის სამოქალაქო ცენტრისა და ქალები რეგიონის განვითარებისთვის მიერ.